საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 65 19/12/2019

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სოფელ ხევში მდებარე ხევის საზოგადოებრივი ცენტრის შენობის (ს/კ 36.05.34.026) 6 თვის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს სსიპ.იუსტიციის სახლისთვის გადასცემად მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სოფელ ხევში მდებარე ხევის საზოგადოებრივი ცენტრის შენობა (ს/კ 36.05.34.026) 6 თვის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს სსიპ „იუსტიციის სახლს“.

მუხლი 2.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე